ხელშეკრულება

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ №112
CPV 15800000

ქ. თბილისი

„11“ „ივნისი“ 2018წ.

1.ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წარმოდგენილი ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ნინო ნოზაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, სს „გუდვილი“ წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (წარმომადგენლობითი ხარჯები) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების ტკბილეულის შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 198.60 (ასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს. (დღგ-ს ჩათვლით).

3.2. ერთეულის მიხედვით საქონლის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში.

3.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მიწოდების პირობები

4.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისთვის" ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას 2018 წლის 11 ივნისს ჰიპერმარკეტ „გუდვილში“, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 2/4.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების საფუძველზე „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.

6.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.
6.4 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა უფლებები

7.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
7.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
7.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
7.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**
8.1.1. დადგენილ ვადაში 4.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს“ უნაკლო საქონელი.
8.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
8.1.3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „შემსყიდველს“ მისი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტი ან/და მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია.
8.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**
8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის დროული გადახდა.
8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 2 (ორი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

13.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%, მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან, ხოლო ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება 13.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

13.3 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით ვალდებულების სრულად შეუსრულებლობისთვის, ხოლო 10% ოდენობით ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებისთვის.

13.4 ხელშეკრულების „13.1“ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის დადგენილი თანამშრომლები: ზვიად ზვიადაძე, სოფიკო ლეთოდიანი.

14.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

14.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.2. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

16.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს.

ბ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა.

გ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ს/კ: 204 548 230 მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. #7 ტელ: 299 97 08; 577 97 44 11 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 **ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი** **ნინო ნოზაძე**	**სს „გუდვილი"** ს/კ: 206343991 მის: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. N1 ტელ: 2 40 00 02 ბანკი: სს „თი ბი სი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE61TB3615336020100004 **გენერალური დირექტორი** **გიორგი ხაბაშვილი**

დანართი N1

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	ფასი სულ	CPV კოდი
1	იაკობზ მონარქი 300+100გ ხსნადი ყავა	ცალი	1	29.89	29.89	15861000
2	იაკობზ მონარქი 230გ ხსნადი ყავა	ცალი	1	20.29	20.29	15861000
3	SUPREMO-შაქარი 0,900გრ	ცალი	3	1.79	5.37	15831000
4	elit- შოკოლადის ასორტი ბოჰემ 400 გრ	ცალი	1	23.79	23.79	15842100
5	Bahlsen კოფი თაიმი შოკოლადის რგოლები 155გრ x 24ც 203887	ცალი	1	4.19	4.19	15842100
6	BAHLSEN-ვაფლი რძიანი შოკოლადით	ცალი	1	9.79	9.79	15812200
7	მილკა ნამცხვარი შოკოლადის შიგთავსით და შოკოლადის ნატეხებით 175გ	ცალი	1	4.29	4.29	15812200
8	Bahlsen ნამცხვარი ექსტრა თეისთი ფორთოხლით 144 გრ	ცალი	1	4.49	4.49	15812200
9	Ferrero-Raffaelo-რაფაელო T.24x6 Piatta	ცალი	1	14.79	14.79	5842000
10	Ferrero-Rosher-შოკოლადი T.16	ცალი	2	15.99	31.98	5842000
11	Ferrero-Raffaelo-რაფაელო T.15	ცალი	1	8.99	8.99	5842000
12	მერსი შოკოლადის ასორტი ნუშით 10X250გრ	ცალი	1	17.95	17.95	15842100
13	MERCI - შოკოლადის შეკვრა	ცალი	1	22.79	22.79	15842100
					198.6	

თანხა სულ: 198.60 (ასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარი

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

11 ივნისი 2018წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაფორმებულ N112 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში სს „ბუდვილი“-სთან.

გავეცანით წინამდებარე ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ნ. ნოზაძე

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი

დეპარტამენტის უფროსი

ზ.ზვიადაძე

მთავარი მრჩეველი

ს. ლეთოდიანი